

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N19 - ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურება

1. ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში, კლიენტს საშუალება აქვს ბარათის შეკვეთისას განაცხადით მოითხოვოს ბარათის მისთვის სასურველ ადგილზე მიტანა.
2. ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით ბარათის მიღება შეუძლია უშუალოდ კლიენტს ან მის მიერ განაცხადით განსაზღვრულ უფლებამოსილ ფიზიკურ პირს (შემდგომში ერთობლივად - ბარათის მიღებაზე უფლებამოსილი პირი).
3. ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების განაცხადში კლიენტმა სხვა მონაცემებთან ერთად, სავალდებულოდ უნდა მიუთითოს:
 - 3.1. ზუსტი მისამართი, რომელზეც კლიენტს სურს ბარათის მიღება;
 - 3.2. ბარათის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები.
4. ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ:
 - 4.1. სერვის-ცენტრში ან/და ბანკის მიერ განსაზღვრულ დისტანციური საბანკო მომსახურების ფარგლებში ბარათის შეკვეთის შემთხვევაში და
 - 4.2. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მოთხოვნილ მისამართზე, ბანკის შიდა პროცედურის შესაბამისად შესაძლებელია ბარათის მიწოდება.
5. ბანკის მიერ კლიენტისთვის ბარათის გადაცემა დასტურდება:
 - 5.1. ბარათის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ბარათის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით, რომელიც ბარათის მიღებაზე უფლებამოსილ პირს გადაეცემა ბანკის კურიერის მიერ ან/და
 - 5.2. კლიენტის სარგებლობაში არსებული ბანკის მიერ განსაზღვრული დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენებით ბარათის აქტივაციით.
6. ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით მიწოდებული ბარათით სარგებლობა შესაძლებელია, მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლიენტი გააქტიურებს მიღებულ ბარათს, ბანკში დადგენილი პროცედურებისა და სტანდარტების შესაბამისად. ბარათის აქტივაციისას, კლიენტი ვალდებულია ბანკს მიაწოდოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემი - ბარათის ნომრის ბოლო 4 (ოთხი) ციფრი.
7. ბარათის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ბარათის მიუღებლობის/ჩაუბარებლობის შემთხვევაში, კლიენტს საშუალება აქვს მიიღოს ბარათი, განაცხადით განსაზღვრულ ბანკის სერვის-ცენტრში, შესაბამისი ბარათის ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში ბარათის ადგილზე მიტანის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
8. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს ბარათის მიღების შემდგომ:
 - 8.1. ბარათის მიღებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებით, მათ შორის ბარათით ან/და ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით შესრულებულ ნებისმიერ ოპერაციაზე.
 - 8.2. ბარათით შესრულებულ ნებისმიერ ოპერაციაზე.
9. ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ან/და დახუროს ბარათი იმ შემთხვევაში თუ ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში კლიენტი არ გააქტიურებს ბარათს.